

ფინანსური ანგარიშგება შპს სხივი 400007041

სარჩევი

• სააღრიცხვო პოლიტიკა	3
• განმარტებითი შენიშვნები (ფინანსური მდგომარეობა 2017 და 2018)	7
• განმარტებითი შენიშვნები(საქმიანობის შედეგები 2018წელი)	10
• განმარტებითი შენიშვნები (ფულადი სახსრების მოძრაობა 2018)	12

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „სხივი„ რეგისტრირებულია საქართველოში 12.08.2010 წლიდან. საზოგადოების დამფუძნებელია ნუგზარ იასაღაშვილი (პ/ნ01020002480), 100% წილის მფლობელი. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება: დირექტორი - ნუგზარ იასაღაშვილი (პ/ნ01020002480). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ხეხილსანერგე მეურნეობა. საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია ეწევა საცალო ვაჭრობას ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

საწარმო ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

დირექტორი: ნუგზარ იასაღაშვილი

ბუღალტერი: ალექსო სარქისოვი

ნ. იასაღაშვილი
ა. სარქისოვი



ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსურ მდგომარეობას
2. საქმიანობის შედეგებს
3. ფულადი სახსრების მოძრაობას

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- შენობა-ნაგებობები - 50 წელი
- საოფისე აღჭურვილობა - 10 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში და ზარალში.

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექსო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი



შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და ისახება ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლისა ან/და მომსახურებების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა საქონელი და/ან მომსახურება. კერძოდ მყიდველისთვის ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისთანავე.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექო სარქისოვი

ბ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება და წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, სახით. პროდუქტის თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ასეთი შემთხვევის არსებობის შემთხვევაში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებში გათვალისწინებული თანხის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულადი სახსრების მოძრაობა უფიქსირდება როგორც საბანკო ანგარიშებზე, ასევე ნაღდი ფულის შემოსულობებითაც. კომპანია ყველა ვალდებულების დაფარვას აწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით ან/და ნაღდი ანგარიშსწორებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები (მათ შორის, ცვლილება საწესდებო კაპიტალში, დამფუძნებლებში/მფლობელებში, ა.შ.) კომპანიის წესდებაში უნდა მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექსო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი



განმარტებითი შენიშვნები (ფინანსური მდგომარეობა 2017 და 2018)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	69365	108310
სავაჭრო მოთხოვნები	1032725	657211
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	6059	5551
მარაგები	0	0
- მზა პროდუქცია	0	0
- სხვა	0	1376033
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	5442	2806
ბიოლოგიური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	284490	291151
სულ აქტივები	1398081.00	2441062.00

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	221728	393755
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	289
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	1734	42362
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	846	508846
სხვა ვალდებულებები	712512	663585
სულ ვალდებულებები	936820.00	1608837.00

საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	461261	832224
სულ საკუთარი კაპიტალი	461261	832225
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1398081.00	2441062.00

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექსო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი

სულ აქტივები 2017 წელს-2441062 ლარი

ფული და ფულის ეკვივალენტები - შედგება სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთებისგან :
სალარო - 46899,61ლარი ბანკი -57771,05ლარი და უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში 3639,24ლარი

სავაჭრო მოთხოვნები-შედგება მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 657211,29ლარი და სხვა მოთხოვნები 612,54ლარი

გადახდილი ავანსები და დარიხული მისაღები შემოსავალი- სულ 5551- ზედმეტად გადახდილი საბიუჯეტო გადასადელები -2455,57 და მოთხოვნილი დღგ-ს თანხები მომავალ პერიოდში ჩასათვლელი დღგ - 3095,82

სხვა-შედგება სასაქონლო ნაშთებისგან სულ 1376033,08

სხვა მიმდინარე აქტივები-სხვა მიმდინარე აქტივები 2806 ლარი

ძირითადი საშუალებები-შენობა 254505 მიწა 25325,66 ოფისის აღჭურვილობა 6980,21 ავეჯი და სხვა ინვენტარი 4340

სულ ვალდებულებები და კაპიტალი-2441062 ლარი

სავაჭრო ვალდებულებები- მოწოდებით და მომსახურებით წარმოქმნილი ვალდებულებები 393755,19

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები-მიღებული ავანსები 288,98

საგადასახადო ვალდებულებები-გადასახდელი დღგ 39647,64 სხვა საგადასახადო ვალდებულებები 2714,74

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები-სესხი პარტნიორისგან 508846,72

სხვა ვალდებულებები-გადასახდელი პროცენტი 663585,48

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი-გაუნაწილებელი მოგება 832224,92

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი



სულ აქტივები 2018 წელს-1398081 ლარი

ფული და ფულის ეკვივალენტები - შედგება სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთებისგან :
სალარო - 64188,56 ლარი ბანკი -5176,77 ლარი

სავაჭრო მოთხოვნები-შედგება მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 1019232,49 ლარი და სხვა
მოთხოვნები 13492,54 ლარი

გადახდილი ავანსები და დარიხული მისაღები შემოსავალი - ზედმეტად გადახდილი საბიუჯეტო
გადასადელები 2963,43 და მოთხოვნილი დღგ-ს თანხები მომავალ პერიოდში ჩასათვლელი დღგ - 3095,82

სხვა-შედგება სასაქონლო ნაშთებისგან სულ 0

სხვა მიმდინარე აქტივები-სხვა მიმდინარე აქტივები 5442 ლარი

ძირითადი საშუალებები-შენობა 249090 მიწა 25325,66 ოფისის აღჭურვილობა 6353,49 ავეჯი და სხვა
ინვენტარი 3720

სულ ვალდებულებები და კაპიტალი-1398081 ლარი

სავაჭრო ვალდებულებები- მიწოდებით და მომსახურებით წარმოქმნილი ვალდებულებები 221728,61

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები-მიღებული ავანსები 0

საგადასახადო ვალდებულებები-გადასახდელი დღგ 316,62 სხვა საგადასახადო ვალდებულებები 1733,62

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები-სესხი პარტნიორისგან 845,72

სხვა ვალდებულებები-გადასახდელი პროცენტი 712511,88

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი-გაუნაწილებელი მოგება 461261,04

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი



განმარტებითი შენიშვნები(საქმიანობის შედეგები 2018წელი)

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	1,386,040
საქონლის გაყიდვიდან	1,386,040
მომსახურების გაწევიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,386,040)
საწყისი მარაგები	(1,376,033)
მარაგების შესყიდვა	(10,007)
საბოლოო მარაგები	0
საერთო მოგება	0
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(55,514)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,865)
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	(48,926)
იჯარის ხარჯი	(5,606)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(15,518)
სულ საოპერაციო ხარჯები	(132,429)
საოპერაციო მოგება	(132,429)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
მარაგები	(256,019)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	280
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	17,204
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(370,964)
მოგების გადასახადი	-
მოგება/(ზარალი)	(370,964)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(370,964)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	832,225
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(370,964)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	461,261

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექსო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
 ა. სარქისოვი



ფინანსურ ანგარიშგებაში მინუს ნიშანი აღნიშნავს: ხარჯებს, ზარალს და ა.შ

ნეტო ამონაგები სულ 1388040 საოპერაციო შემოსავლები 1388040 საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

სულ საოპერაციო ხარჯები -132429 1) დასაქმებულთა ანაზღაურება -55514 დარიცხული და გეცემული ხელფასები . 2) ცვეთა და ამორტიზაცია -6865 2018 წელს დარიცხული ცვეთა სააღრიცხვო პლიტიკის შესაბამისად .3) იჯარის ხარჯი -5606 სააღრიცხვო პლიტიკის შესაბამისად. 4)საპროცენტო ხარჯები -48926 5)ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი სულ -15518, რომელიც შედგება: საბანკო ხარჯი -1161. მომსახურების ხარჯი -12512. საკანცელარიო ხარჯი -30. სხვა ხარჯი -1815.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება =სასაქონლო მარაგების საწყის ნაშთს+შესყიდვები-საბოლოო მარაგების ნაშთი=-1376033+(-1007)-0=-1386040

შესყიდვების რიცხვითი მნიშვნელობა=შესყიდულ საქონელს-სასაქონლო მარაგების გაუფასურება=266026-256019=10007

გაუფასურების მიზეზი-ნაწილი (დასახელებების მნიშვნელოვანი რაოდენობა) მოძველებულია მორალურად და ზოგიერთი მათგანის გამოყენება-მოხმარება დღეისათვის მნიშვნელოვნად შეზღუდულ-შემცირებულია მომხმარებლის სიმცირის და ტექნოლოგიური მოძველების გამო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესაფასებელი საქონელი ზირითადად ელექტრონული სახისაა და განვლილ პერიოდში საგრძნობლად შემცირდა მოთხოვნა მოძველებულ (ხანდაზმულ) საქონელზე, ვინაიდან ანალოგიური სახის საქონელზე დღეისათვის ბაზრობებზე მნიშვნელოვნად შემცირებული ფასებია და საკმაოდ გაძნელდა წინა წლებში შემოტანილი ელექტრო საქონლის რეალიზაცია ახლად შემოტანილ ანალოგიური სახისა და ფუნქციური დანიშნულების საქონელზე არსებული შემცირებული ფასების ზეგავლენით.

საოპერაციო მოგება=საოპერაციო შემოსავალს-საოპერაციო ხარჯები=0-132429=-132429

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან=დადებითი გაუფასურება+უარყოფითი გაუფასურება=404+(-124)=280

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) სულ 17204 საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი

მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი -370964

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს=საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)+მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი =832225+(-370964)=461261

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი



განმარტებითი შენიშვნები (ფულადი სახსრების მოძრაობა 2018)

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	468775
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-508000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-39225,00
სავალუტო კურსის ეფექტი	280
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	108310
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	69365,00

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან-სულ 468775

საქონლის გაყიდვიდან შემოსული ფული სალაროთი 203774

საქონლის გაყიდვიდან შემოსული ფული ბანკით 1065692

ზედმეტად ან/და შეცდომით ჩარიცხული ფულის უკან დაბრუნება ბანკით -496

საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გადახდილი ფული სალაროთი -128506

საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გადახდილი ფული ბანკით -381284

ზედმეტად ან/და შეცდომით გადახდილი ფულის უკან დაბრუნება ბანკში 7785

გადახდილი ხელფასები სალაროთი -7441


გადახდილი ხელფასები ბანკით -36970

გადახდილი საკომისიოები ბანკით -1161

გადახდილი სხვა ხარჯი -35

საგადასახადო ვალდებულებების გადახდა (ბიუჯეტში გადახდილი ფული) -259663

საოპერაციო იჯარიდან მიღებული ფული 7080



წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან სულ -508000

დამფუძნებლის სესხის ძირის დაფარვა -508000

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში=წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან+წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან=468775+(-508000)=-39225

სავალუტო კურსის ეფექტი 280ლარი

დადებითი გადაფასება 404

უარყოფითი გადაფასება -124

$280 = -124 + 404$

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს=წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან+წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან+წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან+სავალუტო კურსის ეფექტი-ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში=468775+(-508000)+0+280+108310=69365

დირექტორი: ნუგზარ იასადაშვილი

ბუღალტერი: ალექსო სარქისოვი

ნ. იასადაშვილი
ა. სარქისოვი

